CASE CAUCASUS ACADEMY OF SECURITY EXPERTS

CASE BRIEF REPORT #5

ზაფხულის გამოცემა

ანგარიშში იხილავთ:

"ბოკო ჰარამი" საფრთხე აფრიკის რეგიონისათვის
"ისლამური სახელმწიფოს" ახალი სახელმძღვანელო
ვითარება ავღანეთში: 2001 წლიდან დღემდე

გიორგი რობაქიძე
თათია მოსიძე
არჩილ ჯაფარიძე
თორნიკე ქოლოკავა
თორნიკე ყარყარაშვილი
ნიკა მასურაშვილი

სარჩევი

ზაფხულის გამოცემა 1

“ბოკო ჰარამი” საფრთხე აფრიკის რეგიონისათვის 3

“ისლამური სახელმწიფოს” ახალი სახელმძღვანელო 7

ვითარება ავღანეთში:2001 წლიდან დღემდე 9

გამოყენებული წყაროები: 14

აკადემიის შესახებ 15

"ბოკო ჰარამი" საფრთხე აფრიკის რეგიონისათვის

ტერორისტული დაჯგუფება "Jama'atu Ahl as-Sunnah li-Da'awati wal-Jihad" (ჯიჰადისთვის მებრძოლი სუნიტი ხალხი) უფრო ცნობილი თავის მეორე დასახელებით "ბოკო ჰარამი" (Boko Haram) (დასავლური განათლება აკრძალულია) მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე საფრთხის შემცველ ტერორისტულ ორგანიზაციად აფრიკაში. სხვა და სხვა მონაცემების თანახმად "ბოკო ჰარამის" ძალადობრივი მოქმედებების შედეგად (ტერაქტები და შეიარაღებული დაპირისპირება ნიგერიის სამთავრობო ძალებთან) დაიღუპა 20 000 ადამიანი (2003-2015). ასევე სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მხოლოდ 2014 წელს "ბოკო ჰარამის" ტერაქტების და თავდასხმების შედეგად დაიღუპა უფრო მეტი ადამიანი (6,664 ადამიანი) ვიდრე "ისლამური სახელმწიფოს" მიერ განხორციელებული ძალადობის შედეგად.

ტერორიზმი არის კონტექსტუალური ფენომენი, შესაბამისად "ბოკო ჰარამის" ჩამოყალიბება მოხდა ნიგერიაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე.

ნიგერია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პირველია რეგიონში. ნიგერია არის აფრიკის უმსხვილესი და მსოფლიოში მე-5 ადგილზე მყოფი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანა (2.525,000 ბარელი წელიწადში). მაგრამ ქვეყანაში არის კორუფციის მაღალი დონე და ნავთობის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი არ ნაწილდება ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე პროპორციულად. განსაკუთრებით რთული ეკონომიკური მდგომარეობაა შექმნილი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში სადაც ძირითადად მუსლიმები ცხოვრობენ.

ჯეიმს ჯ. ფორესტის (ანტიტერორიზმის ექსპერტი, რომელიც უშუალოდ მუშაობდა ნიგერიაში და არის "ბოკო ჰარამის" მკვლევარი) აზრით მთავრობის მხრიდან ჩრდილოეთით, ძირითადად მუსლიმებით, დასახლებული ტერიტორიების განვითარების მიმართ ნაკლებმა ყურადღებამ განაპირობა "ბოკო ჰარამის" შექმნა და მის რეკრუტირების კამპანიას შეუწყო ხელი.

2003 წელს სწორედ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქ.მაიდუგურში ჩამოყალიბდა "ბოკო ჰარამი". მისი შემქმნელი იყო რადიკალური ისლამის მქადაგებელი მოჰამად იუსუფი.

"ბოკო ჰარამის" იდეოლოგია დაფუძნებულია სალაფისტურ მოძღვრებაზე. ორგანიზაციის დამფუძნებელი, ფუნდამენტალისტი იუსუფი მეცამეტე საუკუნეში მოღვაწე იბნ ტაიმიას

გავლენას განიცდიდა. იუსუფს სწამდა, რომ მუსლიმების რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიზეზი იყო ბრიტანეთის მიერ ნიგერიის არსებული სახით შექმნა. მას ასევე მიაჩნდა, რომ ქვეყენაში უნდა აკრძალულიყო დასავლური განათლება, ვინაიდან ის არასწორ ფასეულობებს აყალიბებდა ახალგაზრდებში და ქვეყანაში კორუმპირებული და მისი აზრით ურწმუნო მთავრობის ნაცვლად უნდა ჩამოყალიბებულიყო შარიათზე დაფუძნებული სახელმწიფო.

"ბოკო ჰარამის" მიზანია მთელი ნიგერიის საზოგადოების "ისლამიზაცია" პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით. რაც გულისხმობს ნიგერიაში მკაცრი შარიათის კანონების ქვეშ ცხოვრებას არა მხოლოდ მუსლიმებით დასახლებულ ქალაქებში (ჩრდილოეთ ნიგერია) არამედ ქრისტიანულ რეგიონებშიც. "ბოკო ჰარამმა" ომი გამოუცხადა დასავლურ განათლებას, დემოკრატიულ მმართველობასა და კონსტიტუციას.

2009 წელს მოჰამად იუსუფი სამთავრობო ძალებთან დაპირისპირების შემდეგ მოკლული იქნა. ასევე დაპირისპირების დროს ჩვიდმეტი "ბოკო ჰარამის" წევრი დაიჭრა. ამ მოვლენებიდან ერთ წელიწადში "ბოკო ჰარამს" სათავეში ჩაუდგა აბუ ბაკარ შეკაუ, რომელიც თავის მომხრეებს "ჯიჰადისკენ", მთავრობის დამხობისა და განადგურებისკენ მოუწოდებდა.

მას შემდეგ რაც „ბოკო ჰარამის" ლიდერი გახდა შეკაუ, ორგანიზაცია ერთ-ერთ ყველაზე ძალადობრივ ტერორისტულ დაჯგუფებად ჩამოყალიბდა.

2013 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით "ბოკო ჰარამის" წევრებს წვრთნიდა "ალ-ქაედას" ერთ-ერთი განშტოება, კერძოდ:„ალ-ქაედა ისლამურ მაღრებში"(AQIM). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოსამა ბინ ლადენმა 3 მილონი დოლარის ინვესტირება განახორციელა ჩრდილოეთ ნიგერიაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, საკუთარი სალაფისტური ისლამის მხარდასაჭერად.

"ბოკო ჰარამის" წარმომადგენელმა აბუ ქაქამ (Abu Qaqa) განაცხადა, რომ "ბოკო ჰარამი" სრულად იზიარებდა "ალ-ქაედას" იდეოლოგიასა და მიზნებს. მისივე განცხადებით "ალ-ქაედა" უწევს მათ ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს "ბოკო ჰარამის" ლიდერი მონაწილეობდა საიდუმლო კონფერენციაში, სადაც "ალ-ქაედას" 20 წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, მათ

შორის აიმან ალ-ზავაჰირი. გარდა ამისა მათ ასევე ჰქონდათ კავშირები სომალში მოქმედ „ალ-შაბაბთან“ და სხვა ისლამისტურ დაჯგუფებებთან.

თუმცა, 2015 წლის მარტში, აბუ ბაკარ შეკაუმ აუდიო ჩანაწერში განაცხადა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ალიანსის შესახებ. მოუწოდა რა მუსლიმებს ყველგან მხარი დაეჭირათ ჯიჰადისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ “ბოკო ჰარამი” “ალ-ქაედასა” და “ისლამური სახელმწიფოს” დაპირისპირების შუაში აღმოჩნდა, თავისი არჩევანი მათი აზრით უფრო მოგებული მხრის სასარგებლოდ გააკეთეს, თუმცა დასკვნები გამარჯვებული მხარის თაობაზე ნაადრევად იქნა გამოტანილი. ყველაზე მეტად აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება მოხდა შემდეგი ორი ფაქტორის გათვალისწინებით: ნიგერიაში ლეგიტიმურობის გასაზრდელად და უცხოელი მებრძოლების რეკრუტირებისათვის.

2015 წელს მარტში, მას შემდეგ რაც ალიანსი გამოაცხადა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ პირველად იყენებს სახელს “ ISIL-West Africa Province”, აწყობს მრავალ ტერაქტს თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენებით (N’Djamena, Chad ში-პირველი ასეთი ტერაქტი ქვეყნის დედაქალაქში).

“ბოკო ჰარამის” სამიზნე ობიექტებია: ნიგერიის პოლიცია, არმია, პოლიტიკოსები, სკოლები, რელიგიურ შენობები, საჯარო ინსტიტუტები და მშვიდოებიან მოქალაქეები. თავდასხმები 2009 წლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა. ათი ათსზე მეტი მოკლული, 1.5 მილიონ ადამიანზე მეტი ლტოლვილი.

“ბოკო ჰარამი” ისევე როგორც “ისლამური სახელმწიფო” არ განასხვავებს სამიზნეებს. მათ სამიზნეებს წარმოადგენს ყველა ის, ვინც არ იზიარებს ტერორისტული დაჯგუფების იდეოლოგიას, იქნება ეს მუსლიმი, ქრისტიანი, სხვა რელიგიისა თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. (მშვიდობიანი მოსახლეობა, ქალები, ბავშვები, მამაკაცები, მოხუცები, სამართალ დამცავები).

“ბოკო ჰარამის” ბრუტალური კამპანია შეიცავს თვითმკვლელი ტერორისტების მიერ 2011 წელს ქ.აბუჯაში მდებარე გაეროს შენობაზე თავდასხმას (დაიღუპა 23 და დაშავდა 80-ზე მეტი ადამიანი). უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის მიერ ეს იყო პირველი მასშტაბური ტერაქტი დასავლური ინსტიტუტების წინააღმდეგ. გარდა ამისა, აწყობს ტერაქტებს, რომლებსაც უამრავი სტუდენტი და მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე ეწირება.კამპანია შეიცავს ასევე სოფლების გადაწვას, სამთავრობო ძალებზე თავდასხმასა და ადგილობრივ რეგიონულ ტერორისტულ დაჯგუფებებთან თანამშრომლობას.

“ბოკო ჰარამის” წევრებმა 2014 წლის აპრილში 247-ზე მეტი სკოლის მოსწავლე გოგონა გაიტაცეს. სწორედ ამ გატაცების შემდეგ “ბოკო ჰარამის” მიმართ საერთაშორისო ყურადღება მკვეთრად გაიზარდა. 2014 წელს აშშ-მ სამხედრო მრჩეველების მცირე ჯგუფი გაგზანა ნიგერიაში გატაცებული გოგონების საპოვნელად. გარდა ამისა საფრანგეთმაც გაგზავნა ჯარისკაცები რათა დახმარებოდა ნიგერიას 2015 წლის თებერვალში სამხედრო მოქმედებების განხორციელებაში. ასევე, 2015 წელს ფორმირებული იქნა აფრიკული

გაერთიანება "ბოკო ჰარამის" წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც შედგება 7, 500 მებრძოლისგან. წევრი ქვეყნებია: ნიგერია, ბენინი, კამერუნი, ჩადი და ნიგერი.

დიდი რეგიონული ჯგუფის ჩამოყალიბების შედეგად მოხდა "ბოკო ჰარამის" განდევნა იმ ძირითადი ტერიტორიებიდან, რომელბიც მათ საყრდენ ადგილებად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, "ბოკო ჰარამი" რჩება სიცოცხლის უნარიანად და უფრო მეტიც, ახორციელებს ტერაქტებს მეზობელ ქვეყნებში: კამერუნში, ნიგერში, რითაც საფრთხეს უქმნის რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოებას.

გიორგი რობაქიძე
თათია მოსიძე

"ისლამური სახელმწიფოს" ახალი სახელმძღვანელო

ევროპაში ბოლო დროს განხორციელებული ტრაგიკული მოვლენების გამო, საგრძნობლად გაიზარდა ტერორიზმის პრევენციის ზომები. რამაც უბიძგა "ისლამურ სახელმწიფოს" შეექმნა ექსტრემისტებისთვის უსაფრთხოების ახალი სახელმძღვანელო „მარტოხელა მგლებისთვის" და მცირე ქსელური დაჯგუფებებისთვის.

აღნიშნული სახელმძღვანელო 2015 წლის სექტემბერში „ალ-ქაედას" მიერ იქნა გამოცემული, თუმცა უკვე ოქტომბრის თვეში „ისლამურმა სახელმწიფომ" სახელმძღვანელოს ახალი ვერსია სოციალურ მედიაში გამოაქვეყნა, რის შემდეგაც მას უამრავი მკითხველი გამოუჩნდა.

სახელმძღვანელოს შესავალში მკაფიოდ არის ხაზი გასმული, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს განხილულ ლექციებს/საკითხებს, რადიკალური ისლამის მიმდევრებისთვის. უდაოა, რომ დღესდღეისობით ტერაქტების განსახორციელებლად ისლამური დაჯგუფებები, ძირითადად „მარტოხელა მგლებს" და მცირერიცხოვან ჯგუფებს იყენებს.

სახელმძღვანელო ინსტრუქციებისა და რეკომენდაციებისგან შედგება, სადაც განხილულია, როგორც ძირითადი და მუდმივი პრინციპები, ისე დროსა და გარემოსთან ადაპტირებადი დებულებები. ასევე საინტერესოა, ის კონკრეტული რჩევები და მითითებები, რომელთა სწორი ანალიზის შედეგად, შეგვიძლია პრაგმატული დასკვნები გამოვიტანოთ ისლამური ექსტრემიზმის დღევანდელი მდგომარეობისა და ამბიციების შესახებ.

ამის კარგი მაგალითია მითითება, რომ საჭიროა ევაკუაციის გეგმის შემუშავება "ოპერაციის" დაგეგმვისას. აღნიშნულ საკითხზე აქცენტის გაკეთება, ადრე გამოცემულ ინსტრუქციებში საკმაოდ იშვიათი იყო, რაც ამჟამად მათი მიმდევრების უფრო რაციონალურად გამოყენებაზე მიუთითებს.

ასევე აღსანიშნავია, ტექსტის გადმოცემის სიმარტივე, დახვეწილი შინაარსი და რჩევების გასათვალისწინებლად მოყვანილი, არგუმენტირებული მაგალითები. აღნიშნულში იგულისხმება, რომ მრავალ გვერდიან სახელმძღვანელოში, სადაც ძირითადად საუბარია სადაზვერვო საკითხებსა, თუ ინფორმაციული ტექნოლოგიების დაშიფრულ გამოყენებაზე, რაც არ უნდა უცნაური იყოს, არც ერთი სპეციფიკური ტერმინი არ არის გამოყენებული, რასაც შეიძლება დაინტერესებული მკითხველის მხრიდან დამატებითი კითხვა მოჰყვეს. აღნიშნული მეთოდის არჩევა ინფორმაციის გადმოსაცემად, გარკვეულწილად შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ პირთა წრე, რომელიც აღნიშნულით უნდა დაინტერესდეს საგრძნობლად გაზრდილია.

ახალ ინსტრუქციებში პრიორიტეტად, მოქმედი პირის უსაფრთხოების დონე ითვლება და არა მთლიანად ოპერაცია, უსაფრთხოება განხილულია ნებისმიერ ასპექტში: იქნება ეს ოპერაციის მოსამზადებელი წინასადაზვერვო საქმიანობა, იარაღის შეძენის ან მოპოვების პროცესი, ქალაქში უსაფრთხო ცხოვრება და გადაადგილება, რომელიმე ქვეყანაში ლეგენდის საფარქვეშ ცხოვრება, კონსპირაციული კონფერენციები და შეხვედრები, დაკავების შემთხვევაში მოქცევის წესი, აეროპორტში შეუმჩნევლად გადაადგილება და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ დეტალურადაა ახსნილი ყველა ის შესაძლო საფრთხე თუ გამოწვევა, რაც აუცილებელია მცირე ქსელის ან ჯიჰადისტების საქმიანობისთვის უცხოეთში.

ინსტრუქციაში თანამედროვე უსაფრთხოების პროგრამების გამოყენებაზეც არის მითითებები. ხაზია გასმული იმ ძირითად პროგრამულ პროდუქტებსა თუ მეთოდებზე რომლებსაც ცალსახად ურჩევს ავტორი მიმდევრებს. აქვე ავტორი გარკვეულ ტენდენციას ქმნის და უპირატესობას მცირე ქსელურ დაჯგუფებებს და „მარტოხელა მგლებს“ ანიჭებს, რაც დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით კარგად რეალიზებულია ექსტრემისტული ისლამის მიმდევრების მიერ. ევროპაში ბოლო დროს მომხდარი ტერაქტები ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოს ზედაპირული ანალიზითაც კი კარგად ჩანს, თუ რა მოთხოვნებისა და გამოწვევების წინაშე დგას დღეს ექსტრემისტული ისლამი. ალაჰის ნებით გაჯერებული ტექსტი, რომელიც უშუალო და მარტივი ენით არის გადმოცემული, ცდილობს რაც შეიძლება დეტალურად ახსნას, ის შესაძლო გარემო ფაქტორები, რომლებიც გარკვეულ გავლენას მოახდენს ჯიჰადისტების საქმიანობაზე.

ნაშრომის ავტორები არიან “უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიის” კურსდამთავრებულები:

არჩილ ჯაფარიძე
თორნიკე ქოლოკავა

ვითარება ავღანეთში:2001 წლიდან დღემდე

XX საუკუნის დასაწყისიდან ავღანეთში ვითარება ყოველთვის დაძაბული იყო. ქვეყანაში მიმდინარეობდა მუდმივი ომი, როგორც გარეშე ძალების ჩარევით, ასევე შიდა პარტიზანული მეამბოხე დაჯგუფებების მონაწილეობით. 1979 წელს, ქვეყანაში შეიჭრა საბჭოთა კავშირი, თუმცა იგი დამარცხდა და იძულებული გახდა 1989 წელს ჯარები გაეყვანა ქვეყნიდან, რაშიც დიდი წვლილი ამერიკელებს მიუძღვით. 1990-იანი წლებიდან, ქვეყანაში ძლიერდება თალიბანი (მულაჰ მოჰამედ ომარის ხელმძღვანელობით), რომელიც ქვეყანაში შარიათის მკაცრ კანონებს ამყარებს. მის კვალდაკვალ მოქმედებს ტერორისტული ორგანიზაცია "ალ-ქაედა" (ოსამა ბინ ლადენის ხელმძღვანელობით), რომელიც ორიენტირებულია აწარმოოს ჯიჰადი, როგორც რეგიონში, ასევე მთელ მსოფლიოში. ამის მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბერს, იგი აწყობს ტერაქტს მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე, რომელმაც მთელი მსოფლიო შეძრა.
9/11-ის შემდეგ, 18 სექტემბერს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ხელს აწერს რეზოლუციას ავღანეთში ჯარის გაგზავნის შესახებ, მისი განცხადებით, ამერიკა ,,ერთვება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.''

13 წლიანი ომი (2001 - 2014) იყოფა სამ ფაზად:
1) თალიბების დამხობა
2001 წლის ოქტომბრიდან, ამერიკისა და ბრიტანეთის ავიაცია ინტენსიურ შეტევებს ანხორციელებს თალიბანისა და "ალ-ქაედას" გაერთიანებულ ძალებზე. სახმელეთო იერიშები მხოლოდ 2 კვირიანი დაბომბვის შემდეგ იწყება. ნოემბრის დასაწყისში რამდენიმე ლიდერი უკვე ლიკვიდირებულია, რაც მათთვის მნიშვნელოვანი დანაკარგია, შესაბამისად თალიბანი ჩრდილოეთით არსებულ ქალაქებზე ერთმანეთის მიყოლებით თმობს პოზიციებს (თალოკანი; ბამიანი; ჰერატი; ქაბული; ჯალალაბადი). დეკემბერში მულაჰ ომარი იძულებულია გაიქცეს და თავი შეაფაროს უსაფრთხო ადგილს.

HTTP://TERRORISM.ABOUT.COM/

"ალ-ქაედას" ლიდერი ოსამა ბინ ლადენი გრძნობს რა არსებულ საფრთხეს, სწორად აფასებს სიტუაციას და ასევე ტოვებს თავის ადგილსამყოფელს, კარგად დაცულ გამოქვაბულს, რომელიც ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქ. ტორა ბორაში მდებარეობდა.

2) ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ბრძოლა თალიბების მილიტარიზაციის წინააღმდეგ (2002-2008)
2002 წელს, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ბრძოლის პარალელურად აუცილებელია ფიქრი ავღანეთის სახელმწიფოს აღმშენებლობაზე, რაშიც აშშ-ს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა.
2002 წლის ივნისში შედგა ავღანეთის გარდამავალი მთავრობა. მთავრობის ხელმძღვანელად დაინიშნა ჰამიდ კარზაი, პაშტუნების ტომის ლიდერი, რომელიც აქტიურად იბრძოდა თალიბანის წინააღმდეგ 2001წლიდან.

ავღანეთის განვითარების გეგმის ფარგლებში, ამერიკელთა მიერ შეიქმნა ე.წ. პროვინციათა რეკონსტრუქციის გუნდები (Provincial Reconstruction Teams; PRT), რომლებიც განლაგდნენ ქვეყნის რამდენიმე ქალაქში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გუნდებთან თანამშრომლობდნენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი და სხვა. მუშაობა მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით.

2003 წლის 11 აგვისტოს, აშშ-ს ძალისხმევითა და მხარდაჭერით NATO ავღანეთში ISAF-ის სამოქმედო გეგმით შედის, რომელიც ქვეყანაში უსაფრთხოების დამყარებას ემსახურება. პროგრამაში ალიანსის წევრი და პარტნიორი 51 ქვეყნის სამხედრო ნაწილებმა მიიღო მონაწილეობა (130 000 ჯარისკაცი). 2009 წლისათვის ISAF-ის ჯარები ქვეყნის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ.

2004 წლის იანვარში, ამერიკისა და მოკავშირე ქვეყნების მხარდაჭერით, ავღანეთი ამტკიცებს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ კონსტიტუციას, რომლის დამტკიცებასაც ავღანეთის 502-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი. ამასთან შემუშავდა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელი ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც 2004 წელს იქნა გამოყენებული და ჩატარდა ქვეყნის ისტორიაში პირველი დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები, სადაც კარზაი არჩეულ იქნა პრეზიდენტად. არჩევნებიდან 3 კვირაში, "ალ-ქაედას" ლიდერი ავრცელებს ვიდეო მიმართვას, სადაც ეხმაურება ავღანეთში მიმდინარე მოვლენებს და კვლავ ემუქრება აშშ-ს.
2005 - 2007 წლიდან თალიბანი მნიშვნელოვნად გააქტიურდა. მათი ძირითადი იარაღი გახლდათ თვითმკვლელი ტერორისტები. ამ დროის განმავლოვაში 200-მდე თვითმკვლელმა აიფეთქა თავი, ისინი ასევე იყენებდნენ დისტანციურად მართვად ასაფეთქებელ მოწყობილობებს, რომელთა რაოდენობამაც 2000-ს მიაღწია. საერთო ჯამში თალიბანის ამგვარმა გააქტიურებამ მრავალი ჯარისკაცისა და მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცლხლე შეიწირა.
2008 წლიდან, დაპირისპირებულ მხარეთა შორის კვლავ განახლდა ბრძოლა, რომელიც უშუალოდ დასახლებულ რეგიონებში მიმდინარეობდა. ამან გამოიწვია მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი მსხვერპლი. მოკავშირეების განცხადებით ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ ხალხის დაცვას, რადგან უშუალო ბრძოლასთან ერთად საქმეში ერთვებოდა გახშირებული ტერაქტები.

სტატისტიკის თანახმად, 2014 წლის შემდეგ ტერაქტების შედეგად დაღუპულთა რიცხვი მკვეთრად იზრდება, რაც ქვეყანაში უსაფრთხოების კონტროლის შესუსტებაზე მიუთითებს.



(ტერორიზმით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2007 წლიდან 2014 წლამდე)

3) ბარაკ ობამას ახალი სტრატეგია, ბრძოლა ამბოხებულთა წინააღმდეგ (2008-2014)
2009 წლის თებერვალში, აშშ-ს ახლად არჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა იღებს გადაწყვეტილებას ავღანეთში დამატებითი ჯარების გაგზავნის შესახებ, რომელიც უშუალოდ ჩაერთვებოდა თალიბების წინააღმდეგ ბრძოლაში და ასევე გააკონტროლებდა ავღანეთის საზღვარს, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული უცხო ქვეყნის მებრძოლთა შემოდინება. ამასთანავე, მათ ევალებოდათ ავღანეთის არმიის მებრძოლთა მომზადება და წვრთნა. 2009 წლის აპრილში, ნატოს გადაწყვეტილებით იგი ასევე აგზავნის ჯარს ავღანეთში რათა შეიქმნას პოლიციური სისტემა, რომელიც შემდგომ დაიცავს ქვეყანაში უსაფრთხოებას.
ავღანეთში ძალების რაოდენობის ზრდა ემსახურებოდა როგორც "ალ-ქაედას", ასევე თალიბების ამბოხისა და ქსელური დაჯგუფებების საბოლოო ჩახშობას, მშვიდობიანი მოსახლეობის მაქსიმალურად ნაკლები დანაკარგით. ჯარების გაზრდილი რაოდენობის წყალობით მოხერხდა ამბოხებულთა მაქსიმალურად შევიწროება და ჩახშობა, ასევე დაიღუპა თალიბანის რადმენიმე ლიდერი, რამაც დიდი გავლენა იქონია თალიბანის ბრძოლისუნარიანობაზე.
2010 წლის ნოემბერში, ნატოს ლისაბონის სამიტზე წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებდა ავღანეთში სიტუაციის კონტროლსა და მართვის სადავეების მთლიანად ავღანურ არმიაზე გადაცემას, აღნიშნული გეგმა 2011 წლიდან 2014 წლამდე უნდა შესრულებულიყო.

2011 წლის 1 მაისს, მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციამ წარმოშვა საუბრები ავღანეთში აშშ-ს ჯარების ყოფნის შესახებ. ამა წლის ივნისში, პრეზიდენტმა ობამამ წარმოადგინა გეგმა ავღანეთიდან ჯარების გამოსვლის შესახებ, რომელიც ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო და 2014 წელს დასრულებულიყო, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ ამერიკა და მოკავშირეები შეწყვეტდნენ ბრძოლას თალიბანის, "ალ-ქაედასა" და ზოგადად ტერორიზმის წინააღმდეგ.

აშშ-ს და მის მოკავშირეებს ავღანეთში 13 წლიანი ომი საკმაოდ ძვირად დაუჯდა, როგორც ადამიანური დანაკარგის მხრივ , ასევე ფინანსურად, თუმცა მიაღწია თუ არა საწადელ მიზანს ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. ავღანეთში მშვიდობის დამყარებას საერთო ჯამში 3500-ზე მეტი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა, ფინანსური დანახარჯი კი მხოლოდ ამერიკის მიერ 600 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს.

(კოალიციური ძალების სამხედრო დანაკარგები)

Coalition Military Fatalities By Year

Year	US	UK	Other	Total
2001	12	0	0	12
2002	49	3	18	70
2003	48	0	10	58
2004	52	1	7	60
2005	99	1	31	131
2006	98	39	54	191
2007	117	42	73	232
2008	155	51	89	295
2009	317	108	96	521
2010	499	103	109	711
2011	418	46	102	566
2012	310	44	48	402
2013	127	9	25	161
2014	55	6	14	75
2015	22	2	3	27
2016	4	0	2	6
Total	2392	455	681	3518

2011 წლის 5 დეკემბერს, გერმანიაში ქ. ბონში გაიმართა კონფერენცია, რომელზეც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერმა იმსჯელა ავღანეთის განვითარების გეგმაზე, ფინანსურ მხარდაჭერაზე, ჯარების გამოყვანასა და ძალაუფლების ლეგიტიმურ გადაცემაზე. კონფერენციის მთავარი თემა იყო ავღანეთის მონაწილეობა რეგიონში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.
2013 წლის ივნისიდან ავღანეთის ეროვნულმა არმიამ დაიწყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და უსაფრთხოებაზე კონტროლის აღება. წლის ბოლომდე გადაეცა თითქმის ყველა რეგიონი, რომელიც აშშ-ს ძალების მიერ იყო კონტროლირებადი. 2014 წლის დასაწყისისთვის პრეზიდენტმა ობამამ გასცა ბრძანება დაწყებულიყო ჯარების გამოყვანის 2 ფაზიანი გეგმა.

პირველი ეტაპის ფარგლებში 2014 წლის ბოლომდე აშშ-ს ჯარების დიდი ნაწილი დატოვებდა ავღანეთს, ხოლო დარჩენილი მცირე ნაწილი გააგრძელებდა ავღანეთის ჯარის წვრთნას 2016 წლის ბოლომდე.
ბარაკ ობამამ და ჰამიდ კარზაიმ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და ერთობლივ ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ.

არსებული მდგომარეობის მოკლე ანალიზი

ავღანეთი ძალიან ფეთქებადი რეგიონის ნაწილია. მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ავტომატურად, ცენტრალური აზიის რეგიონის ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ ხდის. ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ აღნიშნულ რეგიონში უსაფრთხოების დამყარებისათვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ავღანეთში სიტუაციის დასტაბილურება იქნება.

ისტორიული და პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, ავღანეთი ისლამისტური დაჯგუფებების „უსაფრთხო თავშესაფარს" (Safe Haven) წარმოადგენს. 2014 წლიდან NATO-ს კოალიციური ძალების ძირითადი სამხედრო კონტინგენტის გაყვანამ ისლამისტური დაჯგუფებების აქტივობების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, კოალიციური ძალების გაყვანამ, არა დადებითი, არამედ რადიკალურად უარყოფითი შედეგი გამოიღო ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით. ამაზე მეტყველებს NATO-ს 2015 წლის პირველი კვარტლის სტატისტიკური მაჩვენებელი, ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების დანაკარგის (ANSF) 40%-იანი ზრდა.

დღესდღეობით, ავღანეთში განთავსებული NATO-ს კოალიციური ძალების მაქსიმალურად შემცირებული კონტინგენტის პირობებში, რეგიონის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის და გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:

1. გააქტიურებული თალიბანი, რომლის კონტროლის და გავლენის ქვეშ იმაზე მეტი ტერიტორიაა ამჟამად, ვიდრე, 2001 წლის აშშ-ს სამხედრო ინტერვენციამდე. თალიბანის მიერ განხორიელებული მასშტაბური ტერაქტები და თავდასხმების სიხშირე მეტყველებს მათი მხრიდან საფრთხის მკვეთრ ზრდაზე. აღსანიშნავია თალიბანის საბრძოლო პოტენციალი, რომელიც მათივე წყაროებზე დაყრდნობით ათასებს შეადგენს.

2. „ისლამური სახელმწიფო" რომელიც ძირითადად, ავღანეთის აღმოსავლეთ პროვინციებში მოქმედებს, გავლენის სფეროების გაფართოების მუდმივ პროცესშია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "ISIS" კოალიციური ძალების ავღანეთიდან გასვლის საპასუხოდ მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს.

3. „მიძინებული" "ალ-ქაედა", რომელიც სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ემზადება და შესაფერის მომენტს ელის ავღანეთში დასაბრუნებლად და პოზიციების გასამყარებლად.

ნაშრომის ავტორები არიან "უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიის" კურსდამთავრებულები:

თორნიკე ყარყარაშვილი
ნიკა მასურაშვილი

გამოყენებული წყაროები:

"ბოკო ჰარამი" საფრთხე აფრიკის რეგიონისათვის:

http://www.clarionproject.org/sites/default/files/ClarionProject_FactSheet%20-%20BOKO%20HARAM.pdf
http://www.cfr.org/nigeria/boko-haram/p25739
http://nationalinterest.org/feature/the-origins-boko-haram-10609?page=2
https://www.nctc.gov/site/groups/boko_haram.html
https://www.start.umd.edu/pubs/START_%20SMA-AFRICOM_Boko%20Haram%20Deep%20Dive_Jan2015.pdf
https://africacheck.org/factsheets/factsheet-explaining-nigerias-boko-haram-and-its-violent-insurgency/
https://www.nctc.gov/site/groups/boko_haram.html
http://edition.cnn.com/2014/04/17/world/africa/boko-haram-explainer/
http://www.bbc.com/news/world-africa-13809501
http://www.huffingtonpost.com/entry/boko-haram-isis_us_564cd890e4b00b7997f8c15d
http://www.ft.com/cms/s/0/23992678-1a7f-11e6-a7bc-ee846770ec15.html#axzz4EOmB5BHI
http://www.voanews.com/content/boko-haram-a-bloody-insurgency-is-a-growing-threat/ 3012005.html
https://www.start.umd.edu/pubs/START_%20SMA-AFRICOM_Boko%20Haram%20Deep %20Dive_Jan2015.pdf
http://www.africaranking.com/top-10-oil-producing-countries-africa/5/
http://www.huffingtonpost.com/entry/boko-haram-isis_us_564cd890e4b00b7997f8c15d

"ისლამური სახელწიფოს" ახალი სახელმძღვანელო:

Safety and Security Guidelines for Lone Wolf Mujahideen and small cells, (Summarised English Translation) (pdf)

http://www.jamestown.org/single/?tx_ttnews%255Btt_news%255D=44834&tx_ttnews%255BbackPid%255D=381#.V3rH2JN97BI

http://www.investigativeproject.org/5021/new-islamic-state-document-shows-us-still-in#

ვითარება ავღანეთში:2001 წლიდან დღემდე:

https://www.britannica.com/event/Afghanistan-War

http://www.cfr.org/afghanistan/taliban-afghanistan/p10551

http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_69366.htm

https://freedomhouse.org/report/freedom-world/2012/afghanistan-0

https://www.quora.com/What-are-the-differences-between-Al-Qaeda-and-the-Taliban

http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2001/09/20010920-8.html

https://www.gpo.gov/fdsys/pkg/PLAW-107publ40/html/PLAW-107publ40.htm

http://www.fas.org/sgp/crs/row/RL30588.pdf

http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2016/577984/EPRS_ATA(2016)577984_EN.pdf

http://connection.ebscohost.com/world/afghanistan/current-situation-afghan-war

http://www.securitycouncilreport.org/chronology/afghanistan.php

http://www.cfr.org/global/global-conflict-tracker/p32137#!/conflict/taliban-in-afghanistan

http://www.statista.com/statistics/251408/number-of-deaths-in-afghanistan-due-to-terrorism/ (სტატისტიკა1)
http://icasualties.org/oef/ (სტატისტიკა2

აკადემიის შესახებ

ADVANCING SECURITY AS A PROFESSION!
უსაფრთხოების როგორც პროფესიის განვითარებისთვის!

სამხედროების, სამართალდამცავების, დიპლომატების, მსხვილი კორპორაციებისა და სტუდენტების მომზადების მრავალწლიანი გამოცდილების უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) თავისი სპეციფიკით ერთადერთი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა სრულიად კავკასიის მასშტაბით. CASE-ის სტუდენტები არიან IT სპეციალისტები, სამხედროები, იურისტები, დიპლომატები, ჟურნალისტები. სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ინტერესის ადამიანები.

ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი საზოგადოების, ბიზნესისა და ეროვნული უსაფრთხოების წინაშე დგას, აკადემიის გარშემო შეიკრიბა გამოცდილ პროფესიონალთა ძლიერი გუნდი, უსაფრთხოების სხვადასხვა სპეციალური სამსახურების თანამშრომლები, ანალიტიკოსები, ინსტრუქტორები, სამხედრო ექსპერტები და სხვა სფეროს წარმომადგენლები კერძო და სახელმწიფო სექტორიდან. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ უფრო უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მეტად ამბიციური მიზნების განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს მოვლენების განსაკუთრებული ხედვა, გაგვაჩნია ძლიერი გუნდი, ექსპერტიზა, გამოცდილება და მოტივაცია. აკადემიის საქმიანობა ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იმისათვის, რომ დავნერგოთ სფეროს ახალი სტანდარტები, მოვამზადოთ კვალიფიციური ადამიანური რესურსი და ხელი შევუწყოთ უსაფრთხო გარემოს ფორმირებას, უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია ახორციელებს სპეციალურ ტრენინგებს, რომლებიც კავკასიის მასშტაბით სხვაგან არსად არის ხელმისაწვდომი, ატარებს რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებს, ნერგავს ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებს, ეწევა ყოველდღიურ ანალიტიკურ საქმიანობას და ეხმარება სფეროს სპეციალისტებს გამოცდილების გაცვლასა და ერთმანეთთან დაკავშირებაში. აკადემია აერთიანებს სადაზვერვო, ანტი-ტერორისტულ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებს, რათა შეავსოს გამოტოვებული ადგილები გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების გარემოში და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებას.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ასამაღლებლად და უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ გლობალური უსაფრთხოების გარემოს აქტუალური პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტა სწორედ კვალიფიციურ საკადრო რესურსში და ინფორმირებულ საზოგადოებაშია.

სრული ინფორმაციისთვის ეწვიეთ აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდს: www.globalcase.org